საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ხათუნა ჩხაიძე – კოლეგიის წევრი

თეიმურაზ თოდრია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ჯ. ჯ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.11.2018

საჩივრის რეგისტრაციის №158/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ი.-ის მიმართ /სიითი /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ი.-ისათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 13 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ჯ. ჯ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ი.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას საოჯახო დავა ჰქონდა თავის ყოფილ მეუღლესთან თ. კ.-სთან. თ. კ.-ის ინტერესებს იცავდა ადვოკატი მ. ი.. მხარეებს შორის დავა მიმდინარეობდა ოჯახური ძალადობის ფაქტზე.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას ჰყავდა ადვოკატი და ადვოკატ მ. ი.-ს შეეძლო მის ადვოკატთან ჰქონოდა ურთიერთობა საქმესთან დაკავშირებით. თუმცა, მ. ი. პირადად მას ურეკავდა, უგზავნიდა შეურაცხმყოფელ შეტყობინებებს და ცდილობდა მის პროვოცირებას და მხარეებს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო დაძაბვას.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მ. ი. კუთვნილ მობილურ ტელეფონზე უგზავნიდა შეტყობინებებს, რომ „იგი იყო მოძალადე, გამოიძახებდა საპატრულო პოლიციას" და სხვა პირადი შეურაცხყოფების შემცველი შინაარსის შეტყობინებებს. აღნიშნული საჩივრის ავტორმა გამოკითხვის ოქმშიც დააფიქსირა, როცა პოლიციის წარმომადგენლის მიერ დაიკითხა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. ი.-მ 2018 წლის 11 დეკემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი განმარტება და მონაწილეობა მიიღო 2019 წლის 07 მარტს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაში. ადვოკატის განცხადებით 2018 წლის 11 ოქტომბრიდან იცავს ჯ. ჯ.-ის ყოფილი მეუღლის თ. კ.-ის ინტერესებს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, თ. კ.-ს ყოფილ მეუღლესთან ჯ. ჯ.-სთან 2018 წლის 15 ივლისიდან ჰქონდა კონფლიქტი და არაერთხელ ჰყავდა გამოძახებული საპატრულო პოლიცია და უბნის რწმუნებული, რათა მათი დახმარებით აღკვეთილიყო ჯ. ჯ.-ის მხრიდან თ. კ.-სა და მის მშობლებზე განხორციელებული ფსიქოლოგიური და ფიზიკური შეურაცხყოფა. ადვოკატის განმარტებით, ჯ. ჯ. პოლიციამ რამდენჯერმე გააფრთხილა, რომ შეეწყვიტა ფსიქოლოგიური ძალადობა თ. კ.-სა და მისი ოჯახის წევრებზე, მაგრამ ჯ. ჯ. მაინც განაგრძობდა არამართლზომიერი ქმედებების განხორციელებას, ელექტრო ენერგიაც კი გაუთიშა თავის ყოფილ მეუღლესა და ბავშვებს. თ. კ.-მ მოითხოვა მის მიმართ შემაკავებელი ორდერის გამოწერა, რაც დაუკმაყოფილეს. მ. ი.-ის განმარტებით, თავდაპირველად მან არ იცოდა, რომ ჯ. ჯ.-ს ჰყავდა ადვოკატი, ვინაიდან სასამართლოში წარდგენილ სარჩელისა და შესაგებელის წარმომადგენლის გრაფაში არ იყო მითითებული მისი ადვოკატის მონაცემები, ასევე არც ჯ. ჯ.-მ აცნობა ამის შესახებ. საჩივრის ავტორი თავისი ინიციატივით ურეკავდა მ. ი.-ს.

2.3 ადვოკატის განმარტებით, 2018 წლის 25 ოქტომბერს ჯ. ჯ.-მ ადვოკატ დ. ს.-ის მონაწილეობით პოლიციის განყოფილებაში მისცა ჩვენება, რომ ადვოკატი მ. ი. მას აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას ტელეფონზე გაგზავნილი შეტყობინებებით, კერძოდ: „ჩართეთ დენი“, „მიმართეთ სასამართლოს“, „თქვენ ეტყობა მართლა მოძალადე ხართ“, „ნუ დამარეკინებთ პატრულში შეწყვიტეთ ბავშვებზე და თეაზე ძალადობა“. ადვოკატი განმარტავს, რომ მას მსგავსი შეტყობინებები ჯ. ჯ.-ისათვის არ გაუგზავნია და ჯ. ჯ.-მ გააყალბა სატელეფონი ამონაწერი, თუმცა იგი ამ ფაქტის გამოსაძიებლად პროკურატურისთვის მიმართვას არ აპირებს.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ტელეფონზე სავარაუდოდ გაგზავნილ შეტყობინებებს გაეცნო პროკურატურა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართეები ლ. მ. და მ. ჩ., ასევე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე მ. მ.. მათ აღნიშნულ შეტყობინებაში შეურაცხმყოფელი სიტყვები ვერ აღმოაჩინეს.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ჯ. ჯ.-ის ადვოკატმა დ. ს.-მ მიმართა ქუთაისის ადვოკატის უფლებების დაცვის კომიტეტს, რათა განეხილათ ადვოკატ მ. ი.-ის ქმედების ეთიკურობა. კომიტეტის სხდომაზე ადვოკატ მ. ი.-ს განუსაზღვრეს მცირე დრო და არ მისცეს პოზიციის სრულად ჩამოყალიბების შესაძლებლობა, ასევე ისაუბრეს მისი პირადი ცხოვრების დეტალებზე, რაც კონფიდენციალური ინფორმაცია იყო. კომიტეტმა ადვოკატებს მოუწოდა შერიგებისაკენ. ადვოკატის განმარტებით, მას დარჩა შთაბეჭდილება, რომ კომიტეტმა არ დაიცვა მისი უფლებები.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. ი. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი #/ სპეციალიზაცია – საერთო.

3.2 ჯ. ჯ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 13 ნოემბერს.

3.3 სადავო ქმედება ხორციელდება 2018 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ი.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომლის მიხედვით ადვოკატი მ. ი. კომუნიკაციას აწარმოებდა საჩივრის ავტორთან მისი ადვოკატის გვერდის ავლით საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 10.4 მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> *„ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება“.*

5.1 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატი ვალდებულია პროცესის სამართლიანად წარმართვის მიზნით მისი კლიენტის მოწინააღმდეგ მხარის ადვოკატთან აწარმოოს საქმესთან დაკავშირებული კომუნიკაცია. ვინაიდან, პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარესთან კომუნიკაციისას არსებობს საფრთხე, რომ ადვოკატმა ისარგებლოს მხარის გამოუცდელობით, სამართლებრივ საკითხებში მწირი ცოდნით და უპირატესობა მოიპოვოს მასზე. აღნიშნული ნორმა მიზნად ისახავს მხარეთა შორის თანაბარი პირობების შექმნას და პირის კანონიერი უფლების დაცვას.

5.2 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატი მ. ი. ურეკავდა ხშირად, ხოლო როდესაც პასუხს არ სცემდა უგზავნიდა შეურაცხმყოფელ შეტყობინებებს. ადვოკატი მ. ი. უარყოფს საჩივრის ავტორის პრეტენზიებს და აღნიშნავს, რომ თავად ჯ. ჯ. ახორციელებდა ზარებს მის ტელეფონის ნომერზე და აწარმოებდა კომუნიკაციას, ამასთანავე, ამავე პერიოდში, მ. ი. არ ფლობდა ინფორმაციას, რომ ჯ. ჯ.-ს ჰყავდა წარმომადგენელი, რადგან არც სარჩელში და არც შესაგებელში მის შესახებ ინფორმაცია არ იყო მითითებული.

5.3 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ დისციპლინურ საქმეში მონაწილე მხარეები ვალდებულები არიან მათი პოზიციის დადასტურების მიზნით წარმოადგინონ შესაბამისი მტკიცებულებები. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა მ. ი.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა მის ტელეფონზე განხორციელებული ზარების ცნობები, საიდანაც ირკვევა, რომ საჩივრის ავტორს 2018 წლის 14 ოქტომბერს, 15 ოქტომბერსა და 18 ოქტომბერს თავად აქვს განხორციელებული ზარები ადვოკატ მ. ი.-ის პირად ნომერზე.

5.4 ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ დასტურდება საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატით წარმოდგენილ პირთან კომუნიკაციის წესის

დარღვევის თაობაზე. ვინაიდან, საჩივრის ავტორი თავისი სურვილით უკავშირდებოდა ადვოკატ მ. ი.-ს.

5.5 საჩივრის ავტორის შემდეგი პრეტენზია ადვოკატ მ. ი.-ის მიმართ გამოიხატა ადვოკატის მიერ მისთვის შეურაცხმყოფელი სატელეფონო შეტყობინებების გაგზავნაში. ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.გ მუხლის *„ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“*

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.4 მუხლი: *„ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას“.*

5.6 ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მნიშვნელოვან როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულება ადვოკატს ეკისრება არა მარტო სასამართლოში ან სასამართლოს ფუნქციის მატარებელ სხვა ორგანოში, არამედ იგი მოვალეა ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება

5.7 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z.v Switzerland (განაცხადი N10414/83, 1984 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა.“

5.8 მოცემულ შემთხვევაში სადავო ფაქტობრივი გარემოებაა ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორისათვის შეურაცხმყოფელი სატელეფონო შეტყობინებების გაგზავნის ფაქტი, თუმცა საჩივრის ავტორი კონკრეტულად არ მიუთითებს, თუ რომელი შეურაცხმყოფელი სიტყვები იქნა მის მიმართ გამოყენებული, ასევე მან არ წარმოადგინა აღნიშნული სიტყვების მისთვის გაგზვნის დამადასტურებელი მტკიცებულებები. საჩივრის ავტორი ზოგადად მიუთითებს, რომ ადვოკატმა მისი მისამართით გამოიყენა შემდეგი ტერმინები, რომ ის არის მოძალადე, გამოიძახებს საპატრულო პოლიციას.

5.9 ადვოკატის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით ირკვევა, რომ საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომელიც ასევე დააფიქსირა საპატრულო პოლიციაში, მდგომარეობს შემდეგ წინადადებებში - „ჩართეთ დენი“, „მიმართეთ სასამართლოს“, „თქვენ ეტყობა მართლა მოძალადე ხართ, ნუ დამარეკინებთ პატრულში შეწყვიტეთ ბავშვებზე და თეაზე ძალადობა“. ადვოკატმა ასევე წარმოადგინა აღნიშნული შეტყობინებების ამსახველი მტკიცებულებები. თუმცა, მ. ი. არ ადასტურებს მათ ნამდვილობას და მიუთითებს, რომ შეტყობინებები არის გაყალბებული, ასევე აღნიშნავს, რომ მათი ნამდვილობის შემთხვევაშიც სადაო წინადადებები არ შეიცავს შეურაცხმყოფელ ხასიათს.

5.10 მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორს, გარდა იმისა, რომ არ წარმოუდგენია შეურაცხმყოფელი ფრაზების ამსახველი მტკიცებულება, ასევე არ წარმოუდგენია

მტკიცებულება, რომლითაც დაადასტურებდა მ. ი.-ის მიერ განხორციელებული მიმოწერის ავთენტურობას.

5.11 საპროცესო კოლეგიამ ასევე შეაფასა სადავო მიმოწერის შინაარსი და მიიჩნევს, ასეთი მიმოწერის ნამდვილობის შემთხვევაშიც კი ის ჯდება გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში, ვინაიდან შინაარსიდან ირკვევა, რომ ადვოკატი მოქმედებდა კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, მოუწოდებდა საჩივრის ავტორს ჩაერთო ელექტრო ენერგია მისი კლიენტისთვის, შესაბამისად ადვოკატმა გამოხატა სუბიექტურ დამოკიდებულება, რასაც უნდა მიეცეს აზრის სტატუსი.

5.12 საპროცესო კოლეგიას არ წარმოეშვა დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატ, მ. ი.-ის მიერ ჯ. ჯ.-ის მიმართ შეურაცხმყოფელი ფრაზების გამოყენების თაობაზე. შესაბამისად, მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში არსებული მასალების საფუძველზე არ დასტურდება ადვოკატ მ. ი.-ის მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5.გ მუხლის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.4 მუხლის დარღვევის ფაქტი.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 27-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №158/18 ადვოკატ მ. ი.-ის მიმართ /სიითი / არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/